



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თოხაძე ვლადიმერ ამბაკოს ძე

თოხაძე ვლადიმერ ამბაკოს ძე [30. V (11. VI). 1892, ქ. ოზურგეთი, – 22. VII. 1972, თბილისი], პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940), საქართველო. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1921 დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1941-57 განაგრძობდა თსსუ-ის საფაკულტეტო პედიატრიის, ხოლო 1957-72 – ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრას. სწავლობდა მინერალების, ცილების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების ცვლას ბავშვთა ორგანიზმში სხვადასხვა დაავადების დროს, პაროტიდულ მენინგიტს და სხვ. თ. იყო საქართველო. პედიატრთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1959-72). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. ორდენი და მედლები.

*თხზ.*: კლინიკური და ბიოქიმიური მონაცემები რევმატიზმის შესახებ ბავშვებში ჰოსპიტალური კლინიკის მასალის მიხედვით, «თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინ-ტის შრომები», 1961, ტ. 21.

---